პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 48-ე წელი

№ 218 (13910) | შაბათი, 16 სექტემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

უნგრეთის კულტურის დღეები

ძმობის დღესასწაული

ჩვენი მეგობრობა მარადიული და ურღვევია

საზეიმოდ არის მორთული თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. აქ შეიკრიბნენ საქართველოს დედაქალაქის მუშათა კლასის წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მოსწავლე ახალგაზრდობა. ესენი მოვიდნენ საქართველოში უნგრეთის კულტურის დღეების საზეიმო გახსნაზე, ეს დღეები ეწყობა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილებისა და საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ინიციატივით.

პრეზიდიუმში არიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სირაძე,** საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი **ო. თაქთაქიშვილი,** რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. გიგოშვილი,** საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი,** შემოქმედებითი კავშირების თავმჯდომარეები, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წევრები.

საზეიმო საღამო გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. სტურუამ,** რომელიც რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს მთავრობის, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით მიესალმა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციას, უნგრეთის კულტურის მოღვაწეებს. მან თქვა, რომ უნგრეთის კულტურის დღეები საქართველოში ერთხელ კიდევ დაადასტურებს ხალხთა ურღვევ ლენინურ მეგობრობას.

საზეიმოდ ჟღერს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ა. ბარამიძემ.** იგი შეეხო საქართველო-უნგრეთის მეგობრობის ისტორიას და თქვა, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს გამოჩენილმა უნგრელმა პოეტმა ბელა ვიკარმა უნგრულ ენაზე თარგმნა შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილება „ვეფხისტყაოსანი". ეს იყო „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი პირველი თარგმანი ევროპულ ენებზე და იგი ტლემდე ერთ-ერთი საუკეთესოა. დიდი წვლილი შეიტანა ქართულ კულტურაში. უნგრელმა მხატვარმა მიხაი ზიჩიმ, რომელმაც ამ პოემის ილუსტრაციები შექმნა. ქართველ ხალხს მუდამ ეხსომება, რომ პირველი ქართული შრიფტი უნგრელმა ოსტატმა მიკლოშ კიშმა ჩამოასხა, მეორე უნგრელი კი, ანთიმოზ იბერიელის მოწაფე მიხაილ იშტვანოვიჩი ჩამოვიდა საქართველოში, რომ სტამბის მოწყობაში დაგვხმარებოდა.

ჩვენი ორი ხალხის მეგობრობა განსაკუთრებით განვითარდა და განმტკიცდა მას შემდეგ, რაც უნგრეთი სოციალისტური განვითარების გზას დაადგა. ახლა ჩვენ გაცხოველებული მეცნიერული და კულტურული ურთიერთობა გვაქვს, ვცვლით სხვადასხვა დელეგაციებს, ყოველივე ეს გვეხმარება ერთმანეთის უკეთ გაცნობაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **ქ. სიხარულიძემ** — საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების ლიტერატურული სექციის მდივანმა **ლ. ტატიშვილმა** — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ტ. ჟივკოვს.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა და ამხ. ტ. ჟივკოვმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საერთაშორისო მდგომარეობისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ბევრ საკითხზე და ორივე პარტიისათვის საინტერესო სხვა საკითხებზე.

აზრთა გაზიარება მეგობრობისა და ძმური გულითადობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა და კვლავ დაადასტურა, რომ ორივე პარტია სავსებით ერთნაირი შეხედულებისაა ყველა განხილულ საკითხზე.

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

15 სექტემბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა წამყვანი ჰუმანიტარული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და სასწავლებლების ხელმძღვანელთა, მეცნიერთა, სამინისტროებისა და უწყებების მუშაკთა თათბირი.

თათბირზე განიხილეს იმასთან დაკავშირებული საკითხები, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ". თათბირზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგემ ს. პ. ტრაპეზნიკოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განმარტებისათვის და შესრულების სამუშაოთა ორგანიზაციისათვის ჩვენი ქვეყნის მსხვილი სამეცნიერო და სასწავლო ცენტრების პარტიული კომიტეტების დასახმარებლად ადგილებზე მიემგზავრება 150-ზე მეტი თვალსაჩინო მეცნიერი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები, პროფესორები, მეცნიერებათა დოქტორები, იდეოლოგიურ დაწესებულებათა ხელმძღვანელები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები. (საკლესი).

საბჭოთა კავშირ-იტალიის შეთანხმება სოფლის მეურნეობის დარგში

15 სექტემბერს საბჭოთა კავშირისა და იტალიის მთავრობებმა მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას სოფლის მეურნეობის მეცნიერული კვლევის დარგში თანამშრომლობის შესახებ.

დოკუმენტი, რომელიც განუსაზღვრელი ვადითა დადებული, ითვალისწინებს დელეგაციების, სამეცნიერო ინფორმაციებისა და პუბლიკაციების ფართო გაცვლას. (საკლესი).

გულთბილი შეხვედრა

მიმდინარე წლის 15 სექტემბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ტ. ჟივკოვს.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა და ამხ. ტ. ჟივკოვმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საერთაშორისო მდგომარეობისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ბევრ საკითხზე და ორივე პარტიისათვის საინტერესო სხვა საკითხებზე.

აზრთა გაზიარება მეგობრობისა და ძმური გულითადობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა და კვლავ დაადასტურა, რომ ორივე პარტია სავსებით ერთნაირი შეხედულებისაა ყველა განხილულ საკითხზე.

დარბაზობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ 15 სექტემბერს მიიღო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წევრები, რომელიც საქართველოში ჩამოუყალიბა უნგრული კულტურის დეკადასთან დაკავშირებით.

ამხ. სირაძე გულითადად მიესალმა უნგრელ ამხანაგებს, რომლებსაც მეთაურობა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ფერენც ხავაში. მან ხაზგასმით აღნიშნა ქართველი და უნგრელი ხალხების ტრადიციული მეგობრობა. საქართველოში ახსოვთ და დიდად აფასებენ მიხაი იშტვანოვიჩის დამსახურებას წიგნის ბეჭდვის განვითარებაში, მიხაი ზიჩის დეკანოზს შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის დასურათებაში.

ამხ. ფერენც ხავაშიმ დელეგაციის წევრებისა და დეკადის ყველა მონაწილის სახელით მადლობა გადაიხადა გულითადი მიღებისათვის და რწმენა გამოთქვა რომ უნგრული კულტურის დეკადა საქართველოში კიდევ უფრო განამტკიცებს ორი ხალხის ტრადიციულ მეგობრულ კავშირს.

დარბაზობას დაესწრნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გიგოშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შ. სალარიძე, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე დ. ანთაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე შ. ციბულაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ბოშაძე, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ტატიშვილი, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პ. ბარამიძე, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილეები პროფესორი ქ. სიხარულიძე და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ე. საყვარელიძე. (საკლესი).

ქვირფასი სტუმრები

ოთარ თაქთაქიშვილი,

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.

უფინარეს ყოველისა მინდა მივესალმო უნგრელ ხალხს და მათს წარმომადგენლებს ქართულ მიწაზე. უნგრეთის ლიტერატურისა და ხელოვნების კვირეული ღირსშესანიშნავი მოვლენაა საქართველოსა და უნგრეთის ხალხთა კულტურულ ცხოვრებაში.

უნგრელთა სტუმრობა საპასუხო ვიზიტი გახლავთ. ერთი წლის წინათ საქართველოს წარმომადგენლები იყვნენ უნგრეთში და, როგორც გადმოგვცეს, იქ უნგრელებს დიდი სტუმართმოყვარეობა გამოუჩენიათ. ქართველები იქ უფრო ახლოს გაეცნენ უნგრეთის ადათ-ჩვეულებს, ლიტერატურას, ბუნებას, ცხოვრებას.

ეს კონტაქტები გვაახლოებს ამ ორ ხალხს, რომლებსაც ძალიან ბევრი გვაქვს საერთო როგორც წარსულში, ისე აწმყოშიც. გარდა გეოგრაფიისა, უნგრელებსა და ქართველებს შორის არის წმინდა ადამიანური თვისებების მსგავსება.

თავისუფლებისმოყვარე უნგრელი ხალხი დღეს ჩვენი სტუმარია და ასეთი სტუმრობა ჩვენთვის მუდამ სასიხარულოა.

ჩვენი მიზანია უფრო ახლოს გავაცნოთ ძვირფას სტუმრებს ჩვენი სამშობლო, ჩვენი ლამაზი კუთხე და ამით ხელი შევუწყოთ ამ ორი ხალხის ხალს მეგობრობას.

• სიტყვა ეძლევათ სტუმრებს •

გულითადი სურვილები

ალფონს ბარტა,

ბუდაპეშტის საოპერო თეატრის სოლისტი, ლისტის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი

ამ რამდენიმე წლის წინათ დავამთავრე ბუდაპეშტის კონსერვატორია და ერთბასს დებრეცენში — პროვინციულ ქალაქში ვმღეროდი საოპერო სცენაზე. მხოლოდ 1959 წელს მიმიწვიეს ბუდაპეშტში — დიდ ასპარეზზე, აქედან იწყება ჩემი როგორც შემოქმედის ზრდა.

შემდეგ მონაწილეობა მივიღე ორ საერთაშორისო კონკურსში ბუდაპეშტსა და ჰოლანდიაში და პირველი ადგილი დავიკავე, ბევრს ვმოგზაურობდი საგასტროლოდ რიო დე ჟანეიროში, სოფიაში, ბერლინში და სხვ. გასულ წელს ლენინგრადს ვეწვიე, სადაც საოპერო სცენაზე ვიმღერე ჰერცოგის არია ვერდის „რიგოლეტოში".

საქართველოში პირველად გახლავართ. შთაბეჭდილებები? — ჯერ მხოლოდ თვითმფრინავის და ავტომანქანის ფანჯრიდან დავინახე თოვლით დაფარული კავკასიონი. ძალიან ლამაზია, გრანდიოზული. გულთბილი შეხვედრა გაგვიმართეთ. უკვე სასიამოვნოდ განვეწყვე ყოველივე ქართულისადმი. მთელ ჩემს თავისუფალ დროს (თუ კი ეს მექნება) გამოვიყენებ თქვენი წარსულისა და აწმყოს, თქვენი ხალხისა და ქვეყნის გასაცნობად. ძალე შეხვედრამდე, დიდ სცენაზე, მეგობრებო!

საბო ჩილა,

პიანისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი

საბჭოთა კავშირში არაერთხელ ვყოფილვარ. კონცერტებით გამოვსულვარ მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, რიგასა და სხვა ქალაქებში. საქართველოში კი პირველად ჩამოვედი.

კარგად ვიცნობ შესანიშნავ ქართველ პიანისტს მარინე მდივანს, მომისმენია მის მიერ შესრულებული ქართული მუსიკა. დიდი სურვილი მაქვს ჩემს რეპერტუარშიც შევიტანო ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

თბილისში დავუკრავ რუს და უნგრელ კომპოზიტორთა რამდენიმე ნაწარმოებს. მოუთმენლად ველი ქართველ მსმენელთან შეხვედრას.

ჩაუტეხელი ხიდი

საქართველოში უნგრული კულტურის დეკადის დასაწყისში მაგონდება ერთი ლეგენდა. ამ ლეგენდით მადიარების ტოტემი მათ მიწაზე მორეული საქართველოდან მოყვანილი არწივია. ყოველგვარ ფანტასტიკურ თქმულებას აკეთ რეალური საფუძველი კონკრეტულ ფაქტში თუ არა, ხალხის ოცნებასა და სურვილში მაინც. ამ ლეგენდის საფუძველი მომე ხალხთა ურთიერთსიყვარულშია. ყველა ქართველს გულწრფელად ახარებს მდიდარი, თვითმყოფი უნგრული კულტურის აყვავება. ჩვენმა ხალხმა დიდი ხანია შეიყვარა გონიერი, ტემპერამენტიანი, ყოველთვის მაძიებელი, მარად მშეელი უნგრული ხელოვნება.

ქართველი ხალხისა და უნგრელი ხალხის კულტურული ურთიერთობის შორეული ფესვები ხალხთა ალალ სიყვარულზეა დაფუძნებული. ყველა განათლებულმა ქართველმა იცის სამასი წლის წინ უნგრელმა მოღვაწეებმა რა დიდი როლი შეასრულეს ქართული სტამბის ორგანიზაციის საქმეში.

ქართველი მეცნიერები მუდამ პატივისცემით ვახსენებთ XIX საუკუნის მეორე ნახევრის უნგრელ მოღვაწეს კავკასიოლოგ ეფენი ხიჩის. მან ბუდაპეშტში — უნგრეთის მდიდარ ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაუთმო ადგილი ჩვენს წინაპართა ნახელავს.

ქართველი ხალხისა და უნგრელი ხალხის კულტურული ურთიერთობა და მეგობრობა განსაკუთრებით გაიზარდა და გაღრმავდა ჩვენს დიდ ეპოქაში. ჩვენი გამოჩენილი მწერლების თარგმანების საშუალებით ქართველი მკითხველები მშობლიურ ენაზე ვსწავლობთ უნგრულ ლიტერატურას. უნგრული კულტურის მოღვაწეებმა თავიანთ ნაშრომებში წარმოსახეს საქართველოს წარსული და აწმყო. უნგრულ ენაზე „ვეფხისტყაოსანი" გარდა ამეტყველებულია ქართული ლიტერატურის კლასიკოსების ილიას, აკაკის, ვაჟას და თანამედროვე მწერალთა შემოქმედება. უნგრულ ენაზე ორიგინალიდან არის თარგმნილი შშეენიერი ქართული ხალხური ზღაპრები. გვეამაყება, რომ ამ თარგმანების ერთ-ერთი ავტორია ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტის აღზრდილი —. ახალგაზრდა უნგრელი მეცნიერი და მწერალი ჩვენი დიდი მეგობარი მარტონ იშტვანოვიჩი.

ჩვენი უნივერსიტეტის კარი მუდამ დიაა მომავე ხალხთა შვილებისათვის. აქ მიიღო თეორიული განათლება ცნობილმა უნგრელმა მეცნიერმა ენგემუნდ ბოდენმა. უნგრეთში იბეჭდება ქართველ მეცნიერთა ნაშრომები. მარად დაუვიწყარია ჩვენთვის საქმიანი შეხვედრები უნგრელ მეცნიერებთან დიული ორტუტაისთან, იმრე ტრეჩნერ-ვალდაპფელთან. კოშთან, ტიბორ ბოდროგისთან, ლაიოშ ვარდიაშთან, კომპოზიტორებთან — ზოლტან კოდაისა და ტიხომირ ვუხჩიჩთან. ბევრი მათგანის წიგნის თარეობს ამშვენებს ჩვენი „ქართლის ცხოვრება", ქართული ლიტერატურის ისტორია, ქართული მუსიკის ისტორია და სხვ. ვისაც უნგრეთში უმოგზაურია, შეინიშნავდა სათუთად მოვლილ ძმათა სასაფლაოებს. ეს ჩვენი მეგობრობის ყველაზე ნათელი გამოხატულებაა. როდესაც საბჭოთა არმიამ ფაშისტ დამპყრობთაგან გაწმინდა უნგრეთის მიწაყელი, ბევრი ქართველი ვაჟკაცი გმირულად დაეცა მომმე ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ჩვენ და ჩვენი სტუმრები სხვადასხვა ენაზე ვმეტყველებთ. ქართული და უნგრული ენები სავსებით განსხვავებულ ოჯახთა ენებია. ჩვენ მაინც გვაქვს რამდენიმე საერთო სიტყვა. სიმბოლიურია, რომ მათ შორის არის სიტყვა ხიდი. მხურვალედ მივესალმებით რა ძვირფას სტუმრებს — მომმე ქვეყნის— განახლებული უნგრეთის სახელოვან შვილებს, უნგრული ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეებს, გვსურს, რომ ცისფერი დუნაის სანაპიროდან წარმოგზავნილნი გამიმდიდრებენ ჩვენს ცოდნას უნგრული კულტურის შესახებ. ეს საძახსოვრო შეხვედრა მრავალსაუკუნოვან, მარად ახალგაზრდა უნგრეთის მიწაზე კიდევ უფრო გაზრდის ჩვენს კულტურულ ურთიერთობას, კიდევ უფრო გაამაგრებს ჩვენი ურღვევი ისტორიული მეგობრობის ჩაუტეხელ ხიდს.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო სტუმრებო!

ქს. სიხარულიძე,
პროფესორი.

საიუბილეო რეკორდი დაიწყო

ხირსის ზვრების ბარაქა

• რეპორტაჟი

რძისფერ ნისლში იყო გახვეული ალაზნის ველი. არსად ჩანდა ნიკალას ფუნჯით ნახატი ქიზიყის მადლიანი მიწა. მხოლოდ ელვატორის კოშკი აზიდულიყო წნორ-ქალაქის თავზე, ჩაძირული ხომალდის ანძასავით ლივლივებდა რძისფერ ზღვაში მბეჟნიერი ნინოწმიდა...

სიღნაღი, წნორი, ტიბანი, ხირსა, დიდებული მზის ამოსვლა და ცადაჭრილი ტროროლებს მოძახილი — ალბათ ამიტომ უთქვამს ნაომარ პატარა კახს ამ ადგილის შესახებ, აქ ცხოვრებაც ღირსაო.

მერე „ღირსა" ხირსად შეცვლილა, მაგრამ დასახლება მაინც არ ღირსებია ვაზის საუფლოს. ოცდაათიან წლებამდე ხეგიგალა და სავაქირო ასოები ისევ ტურებისა და მგლების სანავარდოდ რჩებოდა, მხოლოდ ცხრაას ოცდაცამეტის გაზაფხულზე ავარდა კვამლი ხირსის ფირუზისფერ ცაზე. მოდიოდნენ ხოსიტაანთ და ბენაანთ ჯალაბები, მოდიოდნენ მირიანაანთ და იასეანთ ბალღები, მოდიოდნენ მოჩარდახული ურმებითა და ცხენებით, ფეხით! ძველებურად, მამა-პაპურად მეროდნენ და ჯაგრცხილის ახოებში რქანაყარი ვაზის ზვრები ეზმანებოდათ.

მასუკან 34 წელმა გაიარა. ოცდათოთხმეტჯერ ჩამოდგა სექტემბერი კოღოთოს ხეკისპირა ვენახებში, ოცდაცამეტჯერ დაიდუღა მაკარმა და რატომ ასი ათასჯერ არ დაილოცა ცის ნამი, კაცის მარჯვენა, ხარის ქედი და მიწის მოსავალი. ახლა კი ოცდამეთრმეტე რეკორდია, საიუბილეო წლის კალათბარაქიანი რთველი!

— ვისაც რთველი მხოლოდ ყურძნის კრეფა კგონია, ჩვენებურად, ქიზიყურად რომ ვთქვათ, მარტის მთვარესავით მცდარია, — გვეუბნება მეურნეობის დირექტორი გივი ჯანგულაშვილი, — რთველი ჩვენებური კაცის მთელი წლის ნაშრომ-ნაჯაფის ყულაბაა, მეგენახის სინდისნამუსის ანჯამიანი სასწორი.

ჰო და, ვის არ სჯერა ეს ჭეშმარიტება! ხირსელი მეგენახეების სიბეჯითე რომ არა, 500 ჰექტარ ზვრებს ჭრაქი და ნაცარი შესაჭამდა. ტემპერატურის დღეღამური რყევა, ჭირვეულ თამადასავით ატეხილი ავდრები საიუბილეო წლის მოსავლის მოტაცებას აპირებდა, მაგრამ ინჟინერ-მექანიკოს ილია ჩახნაშვილის ბიჭები სეფე-სპის ბედაურებივით დაჯირითებდნენ ბოდდოს ხსნარით დატვირთულ ავრეგატებს, გოგირდის ჯანღით ძილს უფრთხობდნენ ნაცარს წნორელი შეავრდნები, გულისფიცარს უნგრევდნენ სეტყვის ღრუბლებს მესტეყვეები, და შრომაც გამართლდა—400 ჰექტარი მსმოიარე ვენახიდან გეგმით გათვალისწინებული 1.950 ტონის მაგიერ დედა-სამშობლოს 2.400 ტონა ყურძენს მიპყიდნიან ხირსელები. იქნებ არ გჯერათ. მოპყევით ჩვენი „გაზიკის" კვალს და სოსია მჭედლიშვილის აგროუბნის 93 ჰექტარ ზვარს გადაავლეთ თვალი, ჩაიმუსლეთ ხიზანიანთ შოთას აგროუბანში და დარწმუნდებით ხირსელების ღირსეულობაში.

აი ჟენია ალსანიშვილის ბრიგადის 50 ჰექტარი ნაკვეთი, ღვინლი დებივით ამოსდგომიან მზარში ჟენიას სიღნაღის რაიბჭოს დეპუტატი თამარ ბენაშვილი, ალექსანდრა მირიანაშვილი და სოსიტაანთ დარია, გალია მოჩალოვა და ანასტასია კისლიაკოვა. მენთეშაანთ ალექსანდრასა და ზახარიანთ ანიას კი დიდი კალათები მოუკიდებიათ. იწონება პირველ ქექტარებზე მონაკრეფი ყურძენი.

არის 85 ცენტნერი, შაქარი 19,5 პროცენტი! — უპატაკებს ბრიგადირს ლენინის ორდენოსანი ქრისტეფორე ჭუჭულაშვილი. ცხადია, ხირსული მწვანე და რქაწითელი ხვალ და ზეგ უფრო ჩატკბება.

სიმონ ზედელაშვილის ბრიგადაშიც ზეიმი დაგვხვდა. 66 ცენტნერის მაგიერ აქ პირველმავე ჰექტარებმა ას-ასი ცენტნერი ხარისხოვანი ყურძენი შესთავაზეს მოამაგე მეზვრეებს. მაღალი მოსავლით გაიხარეს შალვა ზურაშვილისა და სარდიონ შაამშილაშვილის ბრიგადების მეგენახეებმაც.

— ჩემოდენა მტკვნები, ჩემი წონა აკიდო, — გულიანად იცინის სოციალისტური შრომის გმირი შაქრია ჭუჭულაშვილი, — მკრეფავი ქალები გამოკრეფილ ზვრის თავში ტრადიციულად ბალახებში აგრარავებდნენ ჭაღარა შაქრიას, რომ მომავალ წელს ვაზმა მისი წონა მტკვანი გამოისხას (ძია შაქრია კი სულ რაღაც... 120 კილოგრამს იწონის!).

• • •

სურათზე: რთველი სიღნაღის რაიონის ხირსის მეგენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. წინა პლანზე — მეურნეობის დირექტორი გ. ჯანგულაშვილი, მთავარი აგრონომი თ. ნანობაშვილი და მკრეფავი ნ. მაისურაძე.

ფოტო მ. თელიაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

გულითადი მადლობა

**საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, ფინანსთა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ფინანსთა ტექნიკუმის, ფინანსთა სკოლის, ფინანსთა ორგანოთა ცენტრალური აპარატის, ფინანსთა ორგანოთა ადგილობრივი აპარატის, ბანკების, ფინანსური ინსპექციის, ფინანსური ორგანიზაციების, ფინანსურ-ეკონომიკური ინსტიტუტების, ფინანსურ-ეკონომიკური ტექნიკუმების, ფინანსურ-ეკონომიკური სკოლების, ფინანსურ-ეკონომიკური ფაკულტეტების, ფინანსურ-ეკონომიკური ფაკულტეტებიანი ინსტიტუტების, ფინანსურ-ეკონომიკური ფაკულტეტებიანი ტექნიკუმების, ფინანსურ-ეკონომიკური ფაკულტეტებიანი სკოლ

კომუნისტები — მთავარ უბანზე

ადრე იღვიძებს ჩხოროწყუს რაიონის ეს შორეული, მთაგორიანი სოფელი, ხმაურიანად არც შეიძლება. შემოდგომამ ბევრი ახალი საზრუნავი გაუჩინა მდინარე ოჩხომურის პირას მდებარე სოფლის — ნაფიჩხოვოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს. ამიტომ ისინი დაძაბულად მუშაობენ, ცდილობენ თავიანთი შრომისა და გონების ახალი შესაფერი ნაყოფი მოუძღვნან საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

ციფრების ენით რომ ვთქვათ, წელს ნაფიჩხოველი მშრომელები საშუალოდ მექტარზე მოიყვანენ 20 ცენტნერ სიმინდს, თვითეულ საფურაუე ძროხაზე მიიღებენ 1200 კილოგრამ რძეს (გეგმა 990 კილოგრამია), ხოლო ბაგურ კვებაზე გადაყვანილ ყოველ ჯიშიან ძროხაზე — 3 ათას კილოგრამს. ისინი სახელმწიფოს მიჰყიდიან 1.100 ტონა „მწვანე ოქროს“ გეგმით გათვალისწინებული 803 ტონის ნაცვლად, აგრეთვე 320 ცენტნერ ბორცს, 1.800 ცენტნერ რძეს და ა. შ.

ხუთწლედის მეორე წელს სასოფლო-სამეურნეო არტელის ფულადი შემოსავალი გეგმასთან შედარებით 200 ათასი მანეთით გაიზრდება.

მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებას სათავეში უდგანან კომუნისტები. ისინი აგრძელებენ და ამრავლებენ მამების შესანიშნავ რევოლუციურ ტრადიციებს.

სასოფლო-სამეურნეო არტელის 101 კომუნისტი 18 პირველდან პარტიულ ორგანიზაციაშია გაერთიანებული. კომუნისტები საკოლმეურნეო წარმოების ყველაზე რთულ, გადამწყვეტ უბნებზე მუშაობენ და პირად მაგალითს უჩვენებენ ფართო მასებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მათი დიდი უმრავლესობა კომუნისტური შრომის დამკვრელია. ისინი აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.

კომუნისტების წვლილია ჩაქსოვილი იმ წარმატებებში, რაც კოლმეურნეობამ მოიპოვა ახალი ხუთწლედის პირველ წელს. შარშან სასოფლო-სამეურნეო არტელმა (თავჯდომარე კომუნისტი ს. კვირკველია) სამშობლოს წინა წელთან შედარებით 300 ტონით მეტი „მწვანე ოქრო“ ჩაბარა, ხოლო ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე 150 კილოგრამით გაზარდა. დიდი გადამეტებით შესრულდა რძის წარმოებისა და აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმები. სახელმწიფოს მიეყიდა დიდაღი მეცხოველეობის პროდუქტები. ყოველივე ამან კოლმეურნეობას საშუალება მისცა გეგმით გათვალისწინებული 857 ათასი მანეთის ნაცვლად მიეღო 1 მილიონ მანეთზე მეტი შემოსავალი, რის 60 პროცენტიც გამომუშავებულ კაცდღეებზე გაიცა. კაცდღემ კი აქ 4 მანეთი და 60 კაპიკი შეადგინა გეგმით გათვალისწინებული 4 მანეთისა და 40 კაპიკის ნაცვლად. მეჩაიეობასა და მეცხოველეობაში მოპოვებული მიღწევებისათვის კოლმეურნეობას გადაეცა პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა, რომელსაც წელსაც ინარჩუნებს.

წარმატებები თავისით არ მოსულა. ერთი ფაქტი. ამ რამდენიმე წლის წინათ მეცხოველეობა კოლმეურნეობის ჩამორჩენილი დარგი იყო. არ სრულდებოდა წველადობის გეგმები, ხორცისა და რძის წარმოების გეგმები. ამ მდგომარეობასთან შერიგება არ შეიძლებოდა, მაგრამ რით დაეწყოთ? პარტიულმა კომიტეტმა გადაწყვიტა ფერმაში სამუშაოდ დამატებით გაეგზავნა ახალი პარტიული ძალები. და მართლაც, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამ მნიშვნელოვან უბანზე გაგზავნილ იქნა 9 კომუნისტი, მაშინ როცა წინათ ორი მუშაობდა. ფერმასთან შეიქმნა პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომლისთვისაც წარმოება უპირველესი საზრუნავი გახდა. პარტორგანიზაციამ კომუნისტებისაგან მოითხოვა საწესდებო მოვალეობათა მტკიცედ შესრულება, საწარმოო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა. მან ამავალ პარტიული კრებების როლი და დამკვიდრა მათი რეგულარულად მოწვევა.

გაძლიერდა ადამიანებთან ინდივიდუალური მუშაობა. გამსხვილებულ ფერმას სათავეში ჩაუყენეს კომუნისტი გრ. გოგუა. ფერმაში მოეწყო შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, რაც კოლმეურნეობას საშუალება მისცა ხუთი ერთეულით შეემცირებინა აქ დასაქმებული მუშახელის რიცხვი. მნიშვნელოვნად განმტკიცდა აგრეთვე მეცხოველეობის ბაკვები ბაზა. გაუმჯობესდა მეცხოველეთა საყოფაცხოვრებო პირობები და კულტურული მომსახურება. ყოველივე ამან ხასურველი შედეგი გამოიღო. ახლა ნაფიჩხოვოს კოლმეურნეობას მეცხოველეობის ფერმა ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. ამ წლის პირველ ნახევარში აქ 105 ცენტნერით იმეზე მეტი რძე მიიღეს, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ფერმის კოლექტივი ძალებს არ ზოგავს მიღებული ნამატის შენარჩუნებისა და გამოზრდისათვის.

კომუნისტებით განმტკიცდა კოლმეურნეობის ბრიგადებიც. მეთორმეტე ბრიგადა, რომელსაც უპარტიო ხ. მორგოშია ხელმძღვანელობდა, სისტემატურად ვერ ასრულებდა საწარმოო დავალებებს. იხედაც მეჩხერი ჩაის ბუჩქები ეკალ-ბარდს დაეფარა. დაბალი იყო ჩაისა და სიმინდის მოსავლიანობა. ბრიგადის პარტორგანიზაციამ ეს საკითხი პრინციპული მსჯელობის საგანი გახადა. ახალმა ბრიგადირმა დ. ძერიამ საქმეს მონდომებით მოჰკიდა ხელი. ადამიანებთან გაიბა მჭიდრო კავშირი, ყოველ საქმეში იჩენდა ინიციატივასა და თვითმოქმედებას, ვერ ურიგდებოდა ნაკლოვანებებს, ამასთან სხვებს პირად მაგალითს აძლევდა. მალე ბრიგადას გამოსწორება დაეტყო, შემდეგ კი მოწინავეთა რიგებში ჩადგა. მეტიც, მან კარგი მუშაობით ყველა ბრიგადას გაუსწრო და კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია დაიმახსოვრა.

კოლმეურნეობა ამაყობს ისეთი ადამიანებით, როგორიც ახალგაზრდა კომუნისტი, მეჩაიე ნოვატორი ოლღა გოგუაა. შარშან მან რვა ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, წელს კი გადაწყვეტილი აქვს ცხრა ტონა „მწვანე ოქრო“ მისცეს სამშობლოს. მეჩაიემ დამამზადებელ პუნქტს უკვე რვა ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული ჩააბარა და კოლმეურნეობიდან სამი ათასი მანეთი ერგო. საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ კომუნისტების ხ. ქობალიას, შ. დარსალიას, ტ. ლაგვილავას, კ. დარსალიას და სხვათა ოჯახებს.

პენსიონერმა კომუნისტმა, პარტიის რაიკომის წევრმა ა. ფონიამ ხანდაზმულობის მიუხედავად შარშან 150-ზე მეტი კაცდღე გამოიმუშავა. იგი წელსაც ნაყოფიერად შრომობს. მას არ ჩამორჩებიან პენსიონერი კომუნისტები კ. დარსალია, ა. და ჩ. ხახიები, ი. ბერია, თ. დარსალია, ჯ. დარსალია და სხვები.

და განა მარტო კომუნისტები! ძირფესვიანად შეიცვალა სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრთა უმრავლესობის დამოკიდებულება შრომისადმი: განმტკიცდა დისციპლინა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. კოლმეურნეობაში გაიზარდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნამდვილი ორგანიზატორები, რომელთა შორის არიან ბრიგადირები ვ. დარსალია, ხ. ლაგვილავა, მ. გოგუა, შ. ლაგვილავა, შერგოლური ჯ. დარსალია და სხვები.

ადამიანებთან ორგანიზატორული და აღმშენებლობითი მუშაობა — ეი ის ბრკვეტები, რომელთა დახმარებით პარტიული კომიტეტი (მდივანი ნ. დარსალია) ავითარებს კოლმეურნეთა შემოქმედებითს აქტივობას, წარმართავს მას ხუკა ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წ.) პლენუმისა და პარტიის XXIII კონგრესის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: წინათ კოლმეურნეობაში სოციალისტურ ფორმალური ხასიათი ჰქონდა, ახლა კი მისი განვითარებით დაინტერესებულია უწინარეს ყოვლისა პარტიული კომიტეტი და კოლმეურნეობის გამგეობა. რეგულარულად ჯამდება სოციალისტურ შედეგები. დაწესებულია მორალური და მატერიალური სტიმულები. საუკეთესო ადამიანთა გამოცდილებას ფართო პროპაგანდას უწევენ. მათზე ლაპარაკობენ პოლიტინფორმატორები, წერენ კედლისა და საველე გაზეთები, გადასცემს რადიო. ყოველივე ეს ხელს უწყობს სოციალისტური შეჯიბრების გაქანებას, მოწინავეთა რიგების ზრდას.

მნიშვნელოვნად გაიზარდა კრებების როლი საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის ცხოვრებაში. ჯერ ერთი, ხერხიზულად შეიცვალა კრებების მომზადების პრაქტიკა. პარტიული კრებები ეწყობა მომზადებულად, კომუნისტთა მაღალი აქტივობით. მიღებული დადგენილებებიც საქმიანი, კონკრეტულია. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ, მათ შესრულებაზე მუდმივი კონტროლია დაწესებული.

პარტიული ორგანიზაცია უნარიანად იყენებს კოლმეურნეობის გამგეობის მოღვაწეობისადმი კონტროლის უფლებას. იგი საქმიანად წარმართავს კომკავშრომული ორგანიზაციის, სახალხო კონტროლის ჯგუფის საქმიანობას.

შემოდგომის ამ ცხარე დღეებში აღრე დილადან გვიან საღამომდე არ წყდება შრომა კოლმეურნეობის მინდვრებსა და ჩაის პლანტაციებში. არტელმა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა დიდი გადამეტებით შეასრულა, მაგრამ ვალდებულების გასანადებლად კვლავ დაძაბული მუშაობაა საჭირო. ამიტომ პარტიულმა კომიტეტმა მთელი მუშობა ჩაის პლანტაციებში გადაიტანა. თითქმის ყველა ძირითად მასივში მოწყობილია საველე ბანაკი. ნაფიჩხოველი კოლმეურნეები „ქაყოფილი არიან თავიანთი საველე ცხოვრებით. ბანაკში ისვენებენ, ხადილობენ, აქვე იღებენ სულიერ საზრდოს. 30-მდე პოლიტინფორმატორი ყოველდღიურად შესვენების დროს აცნობს მეჩაიეებს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის აქტუალურ საკითხებს.

გაძლიერდა ლექციური პროპაგანდა. კოლმეურნეთა წინაშე საინტერესო ლექცია-მოხსენებებით გამოდიან კ. პაპავა, ნ. გოგუა, ტ. დარსალია და სხვები. ეწყობა კითხვა-პასუხის საღამოები, თეორიული კონფერენციები, შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან.

ნაფიჩხოველმა მშრომელებმა კომუნისტთა თაოსნობით გადაწყვეტეს იუბილემდე დარჩენილი დრო გამოაცხადონ დამკვრელური ვახტის დღეებად.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

თელაველები ემზადებიან

საუბარი საქართველოს კპ თელავის რაიონული პირველ მდივანთან ალ. ვარდოშვილთან

◆ ინტერვიუ

საიუბილეო წლის გაწვილი 8 თვეში, — განაცხადა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს კპ თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ალ. **ვარდოშვილმა**, დიდი გამარჯვებები იზეიმეს ჩვენმა მემინდვრეებმა, მეცხოველეებმა, მეხილეებმა. ჯერი მეგენახეებზე მიდგა.

ჭირვეულმა ამინდმა, გაზაფხულისა და ზაფხულის პირველი თვეების უჩვეულოდ გრილმა ამინდებმა, კახელი გლეხის საუკუნოვანმა მტერმა სეტყვამ ერთხელ აშკარა საფრთხე შეუქმნეს ვენახს და განსაკუთრებით, „საფერავსა“ და „მწვანეს“. ჩვენებურ მეგენახეთა სიფხიზლე და სიბეჯითე რომ არა, ამინდი ხელიდან გამოგვაცლიდა საიუბილეო წლის ნაჭირნახულევს. ახლა ჩვენს ზვრებში, რომ იტყვიან „ღვთის თვალი“ ტრიალებს — მწვანედ ხასხასებს 7.454 ჰექტარი საზოგადოებრივი ზვრები. ქარვისფრად დაბერეხა რქაფითელი და საფერავი 4.290 ჰექტარ მსხმოიარე ვენახში.

თელავის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ ამ დღეებში ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი არსებულ რეზერვებს, და გადაწყდა **საიუბილეო** წლის ანგარიშში სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიეყიდოს 8.658 ტონა **ყურძენი**, ჩვენს მეგენახეებს შეგებული აქვთ ამოცანის სირთულე. **21 ათასი ტონის მაგიერ 30.000 ტონა ყურძნის მოკრეფა და სახელმწიფოსადმი ჩაბარება ოთლი ხაქმე არ არის.**

შემოწმებამ ცხადყო, რომ საჭირო ტარა სრულ მზადყოფნაშია, სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორისა და კოლმეურნეობების მფლობელობაში არსებულ ყველა ავტომანქანაზე მოეწყო თვითსაცლელი ტელფერები. გარდა ამისა, მათს განკარგულებაში იქნება რაიონის ყველა საწარმო-დაწესებულების 80-ზე მეტი ავტომანქანა. 150 ხისძარიან ავტომანქანას მოგვახმარს საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტრო.

ტრანსპორტის, ტარის, მკრეფავების მოუცდენლობა დიდად არის დამოკიდებული ღვინის ჭარხლების შეუფერებელ მუშაობაზე. წინანდლის, ნაფარეულის, კურდღელაურისა და იყალთოს მეღვინეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ დაბრკოლებები არ იქნება. სასანელოდ ამრომეს სამტრესტის ადგილობრივი სამშენებლო ორგანიზაციის მშრომელებმაც. ახალი მამლები განყოფილებები ნაფარეულსა და ყალთოში, სასასწავლო მეურნეობა და ახალი კორპუსი იყალთოს ღვინის ქარხანაში, სტაციონარული ტარისა და ლითონის ცისტერნების მოცულობის ერთთიერად გაზრდილი რაოდენობა აკურისა და საერთოდ რაიონის ექვსივე ქარხანაში შეუფერებელი მუშაობის გარანტიას იძლევა.

მივიეთ სამშობლოს 30.000 ტონა ყურძენი! — ამ ლოზუნგით შრომობენ აკურელი, კისისხეველი, ვანთელი, წინანდლელი, ნაფარეულელი მეგენახეები.

□ □

კონდიციური თესლი ჩვენი მიმოსვლა

უსვი ჭირნახულის საწინდარია

ახლა, როცა მთელი ყურადღება სოფლის მეურნეობის საფუძველთა საფუძველის — მარცვლეული კულტურების მოსავლის გადიდებაზეა მიპყრობილი, ძირითადი როლი მთელ აგროტექნიკურ კომპლექსში მაღალხარისხოვანმა თესლმა უნდა შეასრულოს. რესპუბლიკის ბევრმა რაიონმა ამ მხრივ საგრძნობლად გაუმჯობესა მუშაობა და კარგ შედეგებსაც აღწევს.

საიუბილეო წელს წითელწყაროს რაიონში საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების დასათესად საჭიროა 63.836 ცენტნერი კონდიციური თესლი. რაიონის მშრომელთა თავდადებული მუშაობით თესლის ინსპექციის სახელმწიფო სამმართველოს 10 სექტემბრის ცნობებით უკვე აქვთ 66.900 ცენტნერი კონდიციური თესლი, რაც გეგმის 124,7 პროცენტს შეადგენს.

კარგად მუშაობენ ყვარლის რაიონის მხვნელ-მთესველები. ყვარლელებს 21.600 ცენტნერი კონდიციური თესლი აქვთ. გეგმა კი მხოლოდ 20.379 ცენტნერს ითვალისწინებს. ამ მხრივ კარგი მდგომარეობაა აგრეთვე სიღნაღის, საბარათიოს, სამტრედიის რაიონებში.

მაგრამ ყველგან ასე როდია. ბევრგან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ავიწყდებათ, რომ თესვის დროს კონდიციური თესლის უქონლობა დანაშაულია. მაგალითად, ახალქალაქის რაიონში აგროვადებით ახლა საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვა დროა. სჭირდებათ 6.908 ცენტნერი კონდიციური თესლი, ფაქტიურად მხოლოდ 1.450 ცენტნერი აქვთ.

ბოლნისელები საიუბილეო წელს დიდი ამოცანების წინაშე დგანან. საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა რომ შეასრულონ, ამისათვის საჭიროა მზად ჰქონდეთ 19.355 ცენტნერი თესლი. მართალია, ბოლნისელებმა ლაბორატორიაში შესამოწმებლად 23.801 ცენტნერი სათესლე მასალა წარადგინეს, მაგრამ აქედან 10.561 ცენტნერი უკონდიციოა.

უკონდიციო თესლი დიდი რაოდენობით აქვთ აგრეთვე ახალციხის, ლაგოდეხის, დმანისისა და სხვა რაიონებს. სულ რესპუბლიკაში საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების დასათესად საჭიროა 506.563 ცენტნერი თესლი. ფაქტიურად კონდიციურია მხოლოდ 369.949 ცენტნერი. როგორც ვხედავთ, მდგომარეობა არასახარბიელოა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა უფრო მეტი უნდა იმუშაონ იმისათვის, რომ უმოკლეს ვადაში გამოასწორონ მდგომარეობა. ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ საიუბილეო წელს აგროვადებში და მაღალხარისხოვნად აწარმოონ საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვა და ამით საფუძველი ჩაუყარონ მომავალი წლის უხვ მოსავალს.

ჰარტიის ერთგული ჯვილი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებს ბევრი შესანიშნავი რევოლუციონერი ამშვენებს. მათ შორის არის დავით სპირიდონის-ძე აფციაური, რომელმაც მთელი თავისი ენერგია ხალხის ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლას შესწირა.

დ. აფციაური დაიბადა დუშეთის მაზრის სოფელ წინამხარში ღარიბი გლეხის ოჯახში.

1906-1913 წლებში დ. აფციაური სწავლობდა ჯერ თელავის, ხოლო შემდეგ გორის საქალაქო სასწავლებელში. 1913 წელს შევიდა გორის სამასწავლებლო სემინარიაში, რომელიც 1917 წელს დაამთავრა და მუშაობა დაიწყო მასწავლებლად ქ. ნალჩიკის ქართულ სკოლაში.

რევოლუციურ მოძრაობაში დ. აფციაური ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ჩაება. 1916 წლიდან იგი შედიოდა გორის სამასწავლებლო სემინარიის მოწაფეთა მარქსისტულ წრეში, სადაც მარქსისტული თეორიისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის საკითხებს სწავლობდნენ. ნალჩიკში ჩასვლისთანავე იგი უკავშირდება ადგილობრივ ბოლშევიკურ ორგანიზაციას და 1917 წლის აგვისტოში შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში. მალე მას ირჩევენ ნალჩიკის მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრად და მასწავლებელთა პროფკავშირის მდივნად.

1918 წლის მარტის ბოლოს, როცა თეთრგვარდიელმა ბანდებმა ნალჩიკი დაიკავეს, დ. აფციაური იძულებული იყო ქ. პიატიგორსკში გადასულიყო, სადაც ამ დროს მიმდინარეობდა თერგის ოლქის ხალხთა II ყრილობა. ყრილობაზე დ. აფციაური პირადად გაეცნო ს. ბუაჩიძეს და ს. კიროვს და მათი დავალებით კვლავ დაბრუნდა ნალჩიკში, სადაც მალე აღდგენილ იქნა საბჭოთა ხელისუფლება. მაგრამ 1918 წლის აპრილში ნალჩიკი კვლავ თეთრგვარდიელებმა დაიკავეს და დ. აფციაური იძულებული იყო კავკასიი გადასულიყო.

1918 წლის ივლისის ბოლოს დ. აფციაური უკვე თბილისშია. ძას აქ აპატიმრებენ და მობილიზაციით იწვევენ მენშევიკურ არმიაში. დ. აფციაურმა სცადა გაქცევა, მაგრამ სოფელ ფასანაურთან შეიპყრეს და მენშევიკური არმიის სამხედრო სამმართველოს კანცელარიის მწერლად გაწესეს. მაშინ მან გადაწყვიტა თავისი სამსახურებრივი მოგალეობა მენშევიკურ არმიაში არალეგალური პარტიული მუშაობისთვის გამოეყენებინა.

მენშევიკურ არმიაში არალეგალური პარტიული მუშაობა დ. აფციაურმა განსაკუთრებით ფართოდ გააჩაღა მას შემდეგ, რაც ის გორის სასწავლო რაზმის მწერლად გადაიყვანეს. აქ მან შექმნა მძლავრი ბოლშევიკური უჯრედი და ასრულებდა გორის ბოლშევიკური ორგანიზაციის დავალებებს.

1919 წლის აგვისტოში გორის ბოლშევიკური ორგანიზაციის მიერ დ. აფციაური არჩეულ იქნა რკპ (ბ) თბილისის საგუბერნიო კონფერენციის დელეგატად. კონფერენციაზე იგი აირჩიეს რკპ (ბ) თბილისის საგუბერნიო კომიტეტის წევრად.

საგუბერნიო კონფერენციიდან დაბრუნების შემდეგ დ. აფციაური ხელმძღვანელობდა გორის ბოლშევიკური ორგანიზაციის სამაზრო კონფერენციის მოწვევისათვის გაჩაღებულ მუშაობას. მაგრამ ამ დროს მენშევიკურმა ხელისუფლებამ იგი თბილისში გადაიყვანა. მიუხედავად ამისა, მან მაინც მოახერხა გორში არალეგალურად ჩასვლა და კონფერენციის ორგანიზებულად ჩატარება. 1919 წლის 5 სექტემბერს რკინიგზის გორის საგზურზე იგი დაუპატიმრეს, მაგრამ მახლობელი საბუთების უქონლობის გამო გათავისუფლეს.

ამის შემდეგ დ. აფციაური თითქმის ერთი თვის განმავლობაში მუშაობდა მენშევიკური არმიის თბილისის სამხედრო სასწავლებელში. აქაც შექმნა ბოლშევიკური უჯრედი. 1919 წლის 5 ოქტომბერს მან მიიღო რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის დავალება დაუყოვნებლივ გადასულიყო არალეგალურ მდგომარეობაზე და წასულიყო თელავში მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მოსამზადებლად.

ეს ის დრო იყო, როცა დენიკინის ბანდები მოსკოვს უახლოვდებოდნენ. საბჭოთა რუსეთი უცხოელი ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელი ბანდების რკალში იყო მომწყვდეული. ამ მძიმე დღეებში საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს რადაც უნდა დასჯდომოდათ მოეწყოთ საყოველთაო-სახალხო შეიარაღებული აჯანყება საქართველოში, რათა ქმედითი დახმარება გაეწიათ საბჭოთა რუსეთისათვის.

დ. აფციაური სრული პასუხისმგებლობით მოეკიდა მიღებულ დავალებას. იგი დაუყოვნებლივ ჩავიდა თელავში და სათავეში ჩაუდგა აჯანყებისათვის თელავის მშრომელთა მზადებას. რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებით აჯანყება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორე წლისთავზე ერთდროულად უნდა დაწყებულიყო საქართველოს თითქმის ყველა რაიონში. 1919 წლის 22 ოქტომბერს თბილისში შედგა სამხედრო რევოლუციური შტაბისა და გარნიზონის სამხედრო საბჭოს წარმომადგენელთა გაერთიანებული სხდომა, რომელსაც უნდა მიეცა საბოლოო დირექტივები აჯანყების დაწყების შესახებ. მაგრამ კრება პროვოკატორის მიერ გაცემული აღმოჩნდა და აჯანყების ხელმძღვანელი ცენტრი თითქმის მთლიანად ჩაუვარდა ხელში მენშევიკური მთავრობის დამსჯელ ორგანოებს. იმავე დღეს დაიწყო მასობრივი რეპრესიები. 23 ოქტომბერს დაუპატიმრეს აგრეთვე თელავის ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელები. აფციაურმა მოახერხა გაქცევა. მაგრამ იმ დღეს რკინიგზის თელავის სადგურზე შეიპყრეს.

დ. აფციაურმა თითქმის ორი თვე დაჰყო თელავის ციხეში. აქედან ის გადაიყვანეს ჯერ თბილისის საგუბერნიო, ხოლო შემდეგ მტკვრის ციხეში. 1920 წლის პირველ მაისს დ. აფციაური პატიმარ ბოლშევიკთა დიდ ჯგუფთან ერთად ქუთაისის ციხეში გადაიყვანეს.

მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ საქართველოს მშრომელთა 1919 წლის საყოველთაო-სახალხო აჯანყების ყველა მონაწილეს, პირველ რიგში აჯანყების ხელმძღვანელებს მკაცრი სასჯელი ელოდა. მაგრამ სწორედ ამ დროს მენშევიკურ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის დიდი სამშვიდობო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების ძალით დაპატიმრებული ბოლშევიკები, მათ შორის დ. აფციაური, გათავისუფლეს.

1920 წლის მაისის ხელშეკრულებით მენშევიკური მთავრობა იძულებული იყო დაეშვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ლეგალური არსებობა. დუშეთის ლეგალური პარტიული ორგანიზაციის შექმნისათვის მუშაობის ხელმძღვანელობა დ. აფციაურს დაეკისრა. იგი ენერგიულად შეუდგა ამ დავალების შესრულებას. მაგრამ მალე დადასტურდა, რომ მენშევიკები არ აპირებდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას. დაიწყო მასობრივი რეპრესიები. 1920 წლის ივლისში დ. აფციაური დაუპატიმრეს და რამდენიმე დღის შემდეგ ბოლშევიკთა ერთ ჯგუფთან ერთად საქართველოდან გაასტუმრეს.

1920 წლის 1 სექტემბერს ბაქოში გაიხსნა აღმოსავლეთის ხალხთა პირველი ყრილობა. დელეგატთა შორის იყო დ. აფციაური. ყრილობის დამთავრების შემდეგ დ. აფციაური პარტიის დავალებით სამუშაოდ გაიგზავნა თერგის ოლქში. 1920 წლის ოქტომბერში იგი დაინიშნა რკპ (ბ) თერგის საოლქო კომიტეტის პასუხისმგებელ ინსტრუქტორად, ხოლო 1921 წლის იანვარში არჩეულ იქნა პარტიის კავკასიის საქალაქო კომიტეტის მდივნად.

მალე დადგა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის გადამწყვეტი დღეები. 1921 წლის თებერვალში დ. აფციაური ს. გეგეჭკორის რაზმთან და წოელი არნის ნაწილებთან ერთად გაეშურა საქართველოს აჯანყებული მშრომელების დასახმარებლად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე დ. აფციაური დაინიშნა დუშეთის მაზრის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საგანგებო რწმუნებულად დუშეთისა და თიანეთის მაზრებში საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დ. აფციაურმა თავი გამოიჩინა როგორც უანარიანმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკმა. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა: სიღნაღის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ და საქ. კპ (ბ) სიღნაღის სამაზრო კომიტეტის მდივნად, საქ. კპ (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომის პასუხისმგებელ ორგანიზატორად, საქ. კპ (ბ) თელავის სამაზრო კომიტეტის მდივნად, მშრომელთა დეპუტატების დუშეთის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარედ, აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო სასამართლოს წევრად, საქ. კპ (ბ) თელავის სამაზრო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ, საქ. კპ (ბ) გორის სამაზრო კომიტეტის მდივნად, საქ. სსრ ცკ-ის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, კახეთის ოლქის აღმასკომის თავმჯდომარედ, საქ. კპ (ბ) ცკ კადრების განყოფილების გამგედ, საქ. კპ (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივნად, საქ. კპ (ბ) ყვარლის რაიკომის მდივნად, საქ. სსრ კეგების მრეწველობის სახალხო კომისარიატის კადრების განყოფილების გამგედ და სხვ.

დ. აფციაური დაიღუპა 40 წლისა, რომელმა მას შეეძლო კიდევ ბევრი რამ გაეკეთებინა პარტიისა და ხალხისათვის.

ფ. ლომაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

• • •

სურათზე: დ. აფციაური.

ისინი იბრძოლნენ ოქტომბრისათვის

ბოლოს — ახალი შენობები

ორ კვირაზე მეტია რესპუბლიკის სკოლებში დაიწყო ახალი სახწავლო წელი. პირველ სექტემბერს ათასობით მოსწავლემ გაიხარა ახალ სასკოლო შენობაში, ესოდენ დიდი ზრუნვით რომ ააშენა სახელმწიფომ, ააშენეს საინიციატივო მშენებელმა ორგანიზაციებმა, შეფებმა, მთელმა საზოგადოებრიობამ.

მაგრამ პირველ სექტემბერს, ახალი სასწავლო წლის ამ პირველ საზეიმო დღეს, კიდევ უფრო გაძლიერებული ტემპით გაჩაღდა მუშაობა ასობით სასკოლო შენობის ასაგებად, მშენებლობათა დასამთავრებლად. ყველა ცდილობს — დიდი ოქტომბრის დღესასწაული სასკოლო მშენებლობათა უბანზეც ახალი წარმატებებით აღინიშნოს. ამიტომ, ბუნებრივია, რედაქციას მოსდის წერილები, რომლებშიც ჩვენი კორესპონდენტები, მკითხველები გვატყობინებენ სასიხარულო ცნობებს იმის შესახებ, რომ მწყობრში დგება, სექსპლოატაციაოდ გადაეცემა ეს-ეს არის დამთავრებული ახალი სასკოლო შენობები.

ასეთ ცნობებს შეიცავს ქვემოთ მოთავსებული კორესპონდენციები.

ბარდაბანი. (საკ. კორ.). კოჯორში სექსპლოატაციოდ გადაეცა გახანგრძლივებული ტიპის საშუალო სკოლის შენობა. სკოლა განკუთვნილია 536 მოსწავლისათვის. აქვს კარგად მოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები, სპორტული დარბაზი, კლუბი, კვების ბლოკი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ მშენებლებს — ლიღოს სამშენებლო კანტორას — სკოლის მშენებლობაში აქტიურად ეხმარებოდნენ თვით სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები.

ახალ სასკოლო შენობაში უკვე ნორმალურ პირობებში მიმდინარეობს სწავლა.

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). კარგი საოქტომბრო საჩუქარი მიიღეს ვარციხის სასოფლო საბჭოს სოფლების როკითისა და დიდველის მოსწავლეებმა. აქამდე ამ სოფლებს რვაწლიანი სკოლა ემსახურებოდა, ახალი სასწავლო წლიდან კი როკითის რვაწლიანი სკოლის ბაზაზე გაიხსნა საშუალო სკოლა.

ახლა ვარციხის სასოფლო საბჭოში სამი საშუალო სკოლაა.

მწყობრში შევიდა ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაშის ახალი სკოლის ორსართულიანი შენობა. ახალი საშუალო სკოლის შენობა მიიღეს აგრეთვე ხობის რაიონის სოფელ თორსის მოსწავლეებმა. ქალაქ ზუგდიდში მახარაძის ქუჩაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა სამავშვო ბაგა-ბაღის შენობა 140 ბავშვისათვის. აშენებულია ქალაქ ზუგდიდის მე-3, მე-6, სოფლების დარჩელისა და ჩხორიის სკოლების შენობები, ტიპური სასკოლო შენობები ქ. წალენჯიხასა და ჩხოროწყუში, ხობის რაიონის სოფელ 1 მაისში, ორი საშუალო სკოლა ქ. ცხაკაიაში, ამ რაიონის სოფლებში გეჯეთსა და ნოქალაქევში, და მრავალი სხვ. მშენებლობა გრძელდება. ვინ აშენებს? — მე-11 სამშენებლო ტრესტის მეორე სამმართველო (უფროსი ა. ნასარაია).

სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ: მღებავი ს. ლოჩოშვილი, სამშენებლო სამმართველოს უფროსი ა. ნასარაია, ელექტრომონტიორი რ. ესებუა, სამუშაოთა მწარმოებელი ვ

ოქტომბერი და ჩვენი კლანეფა

დიადი იუბილეს აღსანიშნავად

● ბულგარეთში. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის დღესასწაულობისადმი მიძღვნილი თათასზე მეტი ღონისძიება უნდა განხორციელდეს ბორშოდის — უნგრეთის 19 ოლქიდან ერთ-ერთი ოლქის ქალაქებსა და სოფლებში, მათ შორის მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებენ ისეთი შეხვედრები, რომლებშიც ყოფილი წითელარმიელი ინტერნაციონალისტები დამსწრეთ მოგონებებს გაუზიარებენ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში თავისი მონაწილეობის შესახებ. სხვა ღონისძიებათა შორისაა მეხვედრები უნგრეთში მომუშავე საბჭოთა სპეციალისტებთან, საბჭოთა ხალხის ნახევარსაუკუნოვანი გზის ამსახველი გამოფენები, თვითმოქმედი მსახიობების გამოსვლები.

გაცხოველებით ემზადებიან ოქტომბრის დღეებისათვის პეშტის ოლქის მუშაკუმებში. დღესასწაულობის დღეებში აქ მოეწყობა 15 გამოფენა.

ბაჩ-კიშკუნის ოლქში ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მზადდება უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისადმი მიძღვნილი ფილმი.

● ულან-ბატორი. მონღოლეთის სამრეწველო საწარმოებში, შახტებსა და მშენებლობებზე ფასთოვდება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად მოწყობილი სოციალისტური შეჯიბრებანი. მოაწილეებენ ღონისსწორეს დიდი შრომითი წარმატებებით ხელებიან მონღოლეთის თბოენერგეტიკული მრეწველობის მუშაკები. მიმდინარე წლის 8 თვის განმავლობაში ენერგეტიკოსებმა მონღოლეთის მისცეს 28 პროცენტით მეტი ელექტროენერგია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. მარტო შარინგოლის ქვანახშირის კარიერმა ამავე ვადაში გეგმის გადაჭარბებით 30 ათასამდე ტონა ქვანახშირი გამოუშვა.

ურუგვაელთა თვალით

მონტევიდეო, 14 სექტემბერი. (საკდესი). „ავორრასს“ ზალმა გვაუწყა დამპალი კაპიტალისტური სამყაროს მსვლელეის დაწყება და ახალი სოციალისტური საზოგადოების დაბადება, წერს გაზეთ „პოპულარში“ რუბრიკით „სსრ კავშირი ურუგვაელთა თვალით“ ურუგვაის ბანკის მოსამსახურეთა ასოციაციის გენერალური მდივანი პედრო იაური. თანამედროვე საბჭოთა კავშირი — ეს არის პროგრესის სამყარო, აღნიშნავს იგი. საბჭოთა ადამიანების მეცადინეობით 50 წლის მანძილზე იგი გადაიქცა ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ ქვეყნად. სსრ კავშირი უზარმაზარი სახელოსნოა, სადაც შრომას, როგორიც უნდა იყოს იგი, სიხარული და კეთილდღეობა მოაქვს თავისუფალი საბჭოთა ადამიანებისათვის.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ და ახალმა საზოგადოებრივმა წყობილებამ შექმნეს ახალი ადამიანი, რომლის დამახასიათებელი თვისებებია ოპტიმიზმი, სოლიდარობა და მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა თავისი თაგისა და მსოფლიოს ყველა ადამიანის წინაშე, წერს გაზეთის ფურცლებზე ურუგვაის განთავისუფლების მემარცხენე ფრონტის თავმჯდომარე ლუის პედრო ბონავიტა.

ყოფილმა სენატორმა ეროვნული პარტიისაგან ანხელო მარია კუსანომ, რომელიც ეწვია სსრ კავშირს, „პოპულარის“ კორესპონდენტს განუცხადა: „ამჟამად ვერავინ უარყოფს, რომ საბჭოთა მთელი მსოფლიოს მშვიდობის გარანტიაა“.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის გურჯი

კოლუმბიის კომპარტიის განცხადება

ბოგოტა, 14 სექტემბერი. (საკდესი). სსრ კავშირი მსოფლიო სოციალისტური სისტემისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბურჯია. გამოცდილება, რომელიც მან 50 წელიწადში შეიძინა, დედამიწის ყველა ხალხის ფასდაუდებელი სიმდიდრეა. ეს ნათქვამია კოლუმბიის კომპარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განცხადებაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა.

განვითარების ნახევარი საუკუნის ისტორიის მანძილზე, ხაზგასმულია განცხადებაში, საბჭოთა კავშირმა ცხადყო, თუ რა გზას უნდა დაადგნენ მუშები, გლეხები და სხვა ექსპლოატირებული მასები, რათა თავიანთი ქვეყნები გადაქცეონ დამოუკიდებელ მოწინავე სახელმწიფოებად.

განცხადებაში ხაზგასმულია ის დიდმნიშვნელოვანი როლი, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ შეასრულა ჩამორჩენილი მეფის რუსეთის მძლავრ სახელმწიფოდ გარდაქმნის საქმეში. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მტკიცე კავშირი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დაუცხრომელი საქმიანობის შედეგია, აღნიშნულია განცხადებაში, ლენინური პარტია რევოლუციური რაზმია, რომელიც გამოიწრთო გმირულ ბრძოლებსა და განუწყვეტელ შემოქმედებითს მრომაში.

შემდეგ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ახლანდელ რთულ საერთაშორისო ვითარებაში სსრ კავშირი მძლავრი დაბრკოლებაა ახალი ომის გამჩაღებელთ, კერძოდ ამერიკელ იმპერიალისტთა დანაშაულებრივი ზრახვების განხორციელების გზაზე. მისი ლენინური მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა შეესაბამება იმ ქვეყნების საარსებო ინტერესებს, რომლებიც დაადგნენ დამოუკიდებელი განვითარების გზას და იბრძვიან იმპერიალისტ აგრესორთა წინააღმდეგ.

განცხადების დასასრულ კოლუმბიის კომპარტია მოუწოდებს უფრო აქტიურად მოემზადონ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის დღესასწაულისათვის.

ეროვნული დღესასწაული

მეხიკო, 15 სექტემბერი. (საკდესი). 16 სექტემბერს მექსიკა აღნიშნავს ეროვნულ დღესასწაულს— დამოუკიდებლობის დღეს. 157 წლის წინათ ამ დღეს მექსიკელი ხალხი, რომელსაც მეთაურობდა სოფლის მღვდელი მიგელ იდალგო, აღსდგა ესპანელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

მას აქეთ მექსიკა ყოველწლიურად აღნიშნავს ამ დღეს. 15 სექტემბერს ღამით რესპუბლიკის პრეზიდენტი გამოდის ეროვნული სასახლის აივანზე და სოკოლოს მოედანზე სამჯერ დაპკრავს ხოლმე „თავისუფლების ზარი“, რომელსაც ახლავს შეძახილები „ვივა მეხიკო“.

მექსიკა, რომელმაც თავისუფლება მოიპოვა ესპანელ, ფრანგ და ამერიკელ ინტერვენტთა წინააღმდეგ გაფფრთხილებულ ბრძოლაში ცდილობს განამტკიცოს თავისი ეკონომიკა. მექსიკა მხარს უჭერს საყოველთაო და სრულ განიარაღებას.

სვარან სინგჰის განცხადება

დელი, 14 სექტემბერი. (საკდესი). ინდოეთის თავდაცვის მინისტრმა სვარან სინგჰმა განაცხადა, რომ ინდოეთი განაგრძობს მეცადინეობას ისეთი პირობების შესაქმნელად, რომ შესაძლებელი გახდეს მშვიდობიანი ვითარების აღდგენა ტიბეტისა და სიკიმის საზღვარზე. მან თქვა, რომ დღეს დილით ჩინეთის ჯარებმა სიკიმის ტერიტორიას კვლავ დაუშინეს ცეცხლი, მაგრამ სროლა დიდხანს არ გაგრძელებულა.

სინგჰს ჰკითხეს თუ როგორ გამოეხმაურა ჩინეთი ინდოეთის წინადადებებს ნატულას რაიონში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. სინგჰმა თქვა, „ჩვენ მთავრობას ჯერ არ მიუღია მოსალოდნელი პასუხი.

მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ კონფლიქტი გადაიჭრება და საზღვარზე შექმნილი დაძაბულობა შენელდება.

შემდეგ სინგჰმა ილაპარაკა მოსკოვში გამგზავრებაზე და თქვა, რომ ოთხი დღის ვიზიტს გამოიყენებს, რათა აზრი გაუზიაროს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის ღიის წესრიგის შესახებ, იგრეთვე მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში მოხდარ „ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან მოვლენაზე“.

სროლა საზღვარზე

პეკინი, 14 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ გუშინ დილით ინდოეთის ჯარებმა კვლავ დაუშინეს მძიმე ქვემეხების ცეცხლი ჩინეთის რაიონებს ტიბეტში ნატუ ლას. სიაპასსა და ჩუნპიტანს. სააგენტოს განცხადებაში ნათქვამია, რომ ჩინეთის სახაზღვრო ნაწილები „იძულებული გახდნენ საპასუხო ცეცხლი დაეშინათ“.

ბერლინი. გერტრაუდენბრიუკეს ციხიდან იმლება საცხოვრებელი სახლებისა (მარცხნივ) და საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობის ხედი. ახალშენებანი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის სახის გაბატონებული ნიშანია. ძველებური არქიტექტურის ძეგლებთან ერთად ისინი თავისებურ განუმეორებელ შეხამებას ქმნიან.

ფოტო ადნ-საკდესისა.

საერთაშორისო ცხოვრება

გმოობენ მთავრობის პოლიტიკას

პარიზი, 15 სექტემბერი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტია გმობს მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას და აუწენებს გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს საფრანგეთის ნაშდვილ ეკონომიურ და სოციალურ განვითარებას, ნათქვამია საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადებაში საფრანგეთის ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობის გამო, რომელიც აქ გამოქვეყნდა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამჟამად საფრანგეთში მაღალი გადასახადებია და ხულ უფრო იზრდება სიძვირე. პირველად ომისშემდგომ წლებში საფრანგეთში 400 ათასამდე უმუშევარია. მშრომელთა ინტერესებისათვის დიდად საზიანოა სოციალური დაზღვევის რეფორმა.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს სოლიდარობით ეკიდება მშრომელთა კანონიერ მოთხოვნებს, და მიაჩნია, რომ აუცილებლად უნდა დაკმაყოფილონ ეს მოთხოვნები, რათა გაუმჯობესონ ხალხის კეთილდღეობა, მოსპონ უმუშევრობა და მიაღწიონ ეკონომიკის პროგრესს. საფრანგეთის კომპარტიის წინადადებაა, რომ ამ მიზნით განახორციელონ მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგებისა და ბანკების ნაციონალიზაცია, გადახინჯონ საგადასახადო სისტემა, მოახდინონ ეროვნული ინსტიტუტების რეალური დემოკრატიზაცია.

მშრომელთა ავანგარდში

სანტიაგო, 15 სექტემბერი. (საკდესი). აქ დაიხურა ჩილეს კომუნისტური პარტიის ეროვნული კონფერენცია. დასკვნითს მოხსენებაში ჩილეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამერიკო სორილამ განაცხადა, რომ კომპარტია, როგორც ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა კონფერენციამ, ნამდვილად მარქსისტულ-ლენინური, რევოლუციური პარტიაა არა სიტყვით, არამედ საქმით, ჩილეს რევოლუციის პარტიაა. მან ილაპარაკა მასებთან კავშირის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე. ამაზე რომ გაიზარდა პარტიის რიგები, განმტკიცდა მისი ორგანიზაციული სტრუქტურა, ამაღლდა კომუნისტთა იდეოლოგიური და პოლიტიკური დონე.

ჩილეს კომუნისტებმა თავიანთ კონფერენციაზე კიდევ ერთხელ განაცხადეს, რომ მზად არიან განამტკიცონ სახალხო მთრარობის ფრონტის ერთობა და ერთად იმუშაონ ყველაზე ფართო სახალხო სექტორებთან მშრომელთა უფლებებისათვის, იმ გარდაქმნებისათვის ბრძოლაში, რომლებიც ესაჭიროება ჩილეს, უწინარეს ყოვლისა აგრარული და საბანკო რეფორმების განხორციელებისათვის.

კომპარტია მოუწოდებს ხალხს ფხიზლად ადევნოს თვალყური ჩილეს წინააღმდეგ საშინაო და საგარეო რეაქციის საშეთქმულებო საქმიანობას და ღირსეულ პასუხი გასცეს მას.

მოხსენების ცალკე განყოფილება მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს. „ამ კონფერენციის მაღალი ტრიბუნიდან, — თქვა ამერიკო სორილამ, — ჩილეს კომუნისტური პარტია გამოთქვამს აღტაცებასა და ძმურ სიყვარულს სოციალიზმისა და კომუნიზმის გზით მიმავალი ხალხის სახელისაგმდელის, ორგანიზატორისა და ხელმძღვანელისადმი, ლენინის პარტიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი“.

ჩილეს კომპარტია, მუშათა კლასი და ხალხი ენთუზიაზმითა და სიყვარულით იზეიმებენ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს, ნათქვამია მოხსენებაში. კონფერენცია მოუწოდებს პარტიას ღირსეულად აღნიშნოს ეს სახელოვანი წლისთავი: „არ უნდა დარჩეს არც ერთი პროვინციული ცენტრი, ჩილეს არც ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი, — ნათქვამია მოხსენებებში, — სადაც არ მოეწყობა მასობრივი ღონისძიებანი ისტორიაში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს პატივსაცემად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა. ალექსანდრია ეგვიპტის არა მარტო სამრეწველო და სანავსადგურო ქალაქი და ხმელთაშუა ზღვის კურორტების თვალმარგალიტია. ეს მეშადურთა ქალაქიც არის. ათობით თევზსაჭერი კაპანო და კატარღა გადის ზღვაში პირდაპირ ქალაქის სანაპიროდან. აქვე ცხელ ასფალტზე აშრობენ მეთევზეები თავიანთ ბადეებს და ძველი ქალაქის ვიწრო ქუჩებში ჰყიდიან თევზს. ხერთობზე. თევზსაჭერი გემები ალექსანდრიის სანაპიროსთან.

ფოტო ი. ბელიაცკისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ისრაელი ჯიუტობს

ამანი, 15 სექტემბერი. (საკდესი). 3.700-ზე მეტი ოორდანიელი ლტოლვილი, რომლებსაც ისრაელის ხელისუფლებმა ნება დართეს საჰშობლოში დაბრუნებულიყვნენ რეპატრიაციის ვადის დამთავრების შემდეგ, რომელიც ისრაელმა 31 აგვისტოს დთქვა, შინ ვერ დაბრუნდებიან. ოორდანიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ამბილა ისრაელ ხელისუფალთა ეს ღონისძიება, თუმცა ისინი ცდილობდნენ „ჰუმანურად“ წარმოედგინათ თავიანთი მოქმედება. ოორდანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ლტოლვილებმა არ გამოიყენეს დადგენილ ვადაზე საჰშობლოში დაბრუნების უფლება მხოლოდ იმიტომ, რომ ნებართვა მისცეს ცალკეულ პირებს და არა ოჯახებს. ისრაელებმა რეპატრიაციის ნებართვა არ მისცეს ოჯახის ამა თუ იმ წევრს და ამით აიძულეს დანარჩენები უარი ეთქვათ დაბრუნებაზე.

თავის განცხადებაში ოორდანიის წარმომადგენელმა კვლავ გაუსვა ხაზი, რომ ისრაელი უხეშად არღვევს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას ლტოლვილთა რეპატრიაციის შესახებ იმით, რომ შემოიღო სხვადასხვა შეზღუდვა მაშინ, როცა ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული არ არის რეპატრიაციის დრო და შეზღუდული არ არის რეპატრიანტთა რიცხვი.

ჯონსონის გამოსვლა

ვაშინგტონი, 15 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონსონი გუშინ თავს დაესხა ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლებს. მან სიტყვა წარმოთქვა პოლიციის უფროსთა საერთაშორისო ასოციაციის ყოველწლიური კონფერენციის დასკვნითს სხდომაზე კანზას-სიტში და ზანგთა მოქალაქეობივი უფლებებისათვის მებრძოლთ უწოდა „პროვაგანდისტები, რომლებიც შხამს ავრცელებენ“. ჯონსონმა მოითხოვა „კანონის ეფექტიანი გამოყენება“.

„ეურ შეეურიდებით ისეთ საქციელს, რომლის შედეგად ინგრევა ყოველივე, რაც აქ, ამერიკაში მამაკაცებისა და ქალების მრავალ თაობას შეუქმნია“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

ჯონსონმა საჭიროდ არ მიიჩნია შეხებოდა ზანგთა მოელეარების სოციალურ მიზეზებს, თუმცა ეს მოელეარება მიმდინარე ზაფხულში ამერიკის რამდენიმე ათეულ ქალაქს მოედო.

აგრესიული აქცია

კაირო, 15 სექტემბერი. (საკდესი). „სუეცის არხის დახურვის ძირითადი მიზეზია ისრაელის აგრესია, — განაცხადა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაჰმუდ რიადმა, რომელიც ეგვიპტის ტელევიზიით გამოვიდა. — ამ აგრესიის შედეგების აღმოფხვრა და ისრაელის ჯარების გაყვანა დაპყრობილი არაბული ტერიტორიებიდან დაიჩარებს არხის გახსნას და ხელს შეუწყობს ნორმალური ნაოსნობისა და საერთაშორისო ვაჭრობის აღდგენას“.

მაჰმუდ რიადი შეეხო მოსკოვსა და ბელგრადში ამასწინანდელი მოლაპარაკების შედეგებს და ხაზი გაუსვა, ეს მოლაპარაკება ისრაელის აგრესიის შედეგების აღმოფხვრის საკითხებს მიეძღვნაო. „ეჯვიც არ არის, „ თქვა შემდეგ რიადმა, — რომ ჩვენ დაინტერესებული ვართ კვლავ გავხსნათ სუეცის არხი, მაგრამ ისრაელის აგრესია ხელს უშლის არხის მუშაობის ნორმალური პირობების აღდგენას“. ისრაელის „აანსაღნელი აგრესიული აქციები, დასძინა მინისტრმა, მოწმობენ, რომ ისრაელს განზრახული აქვს დაანგრიოს ნაგებობანი არხზე, აგრეთვე მოსპოს იქ მყოფი საკაჭრო გემები.

კოლონიალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად

კინშასა, 14 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის ასამბლეის მეოთხე სესიის საბოლოო სხდომაზე ეროვნული სიტყვა წარმოთქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა.

ყოველ ქვეყანას, განაცხადა უ ტანმა, აქვს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხელმეუფალი უფლება. ყველა ხალხს, რომელიც კოლონიალიზმის უღელქვეშ იტანჯება, უნდა მიეცეს თვითგამორკვევის უფლება.

უ ტანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ბევრი რამ გაუკეთებია დეკოლონიზაციისათვის, და სინანულით დასძინა, რომ „კოლონიალიზმის ისტორიის უკანასკნელი თავი ჯერ არ დაწერილა“. „აკიბრონიმამ, — თქვა მან, — უნდა გაორკეცოს მეცადინეობა, რათა აღმოფხვრას კოლონიალიზმის უკანასკნელი ნაშთები“.

შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ილაპარაკა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის საქმიანობაზე და თქვა, რომ, თუმცა არსებობის 4 წლის მანძილზე ამ ორგანიზაციამ მთლიანად ვერ შეასრულა დაკისრებული ამოცანები, მაინც მეტად დიდ როლს ასრულებდა და კვლავ ასრულებს. „აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა, — თქვა უ ტანმა, — ის არის, რომ ეფექტიანი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებაში საერთოდ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი სპეციალიზებული ორგანოების მუშაობაში, კერძოდ“.

უ ტანმა ასამბლეის სესიის მონაწილეებს წარმატებანი უსურვა ერთობლივ მოქმედებაში აფრიკის ახალი კონტინენტის მშენებლობისათვის.

კინშასა, 14 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ მუშაობა დაამთავრა აფრიკის ეკონომიკურ საკითხთა კომისიამ. სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ აფრიკის 37 სახელმწიფოს წარმომადგენლები.

ასამბლეის შემდეგი სესია 1968 წელს უნდა მოეწყოს ალჟირში.

ქამბოჯის მთავრობის პროტესტი

ნიუ-იორკი, 15 სექტემბერი. (საკდესი). კამბოჯის მთავრობამ მტკიცე პროტესტი განაცხადა ამის გამო, რომ ამერიკისა და სამხრეთ ვიეტნამის ჯარები შეიჭრნენ კამბოჯის ტერიტორიაზე. და მოითხოვა, რომ შეწყვეტონ თავდასხმები კამბოჯის დასახლებულ პუნქტებზე.

„კამბოჯის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გუშინ წერილი გაუგზავნა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს. წერილში აღნიშნულია, რომ ამერიკის ავიაციამ მრავალჯერ დაარღვია კამბოჯის საჰაერო სივრცე. იგრეთვე ამერიკისა და სამხრეთ ვიეტნამის შეიარაღებული რაზმები შეიჭრნენ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე. ამ პროვოკაციული მოქმედების შედეგად კამბოჯის მოსახლეობაში არის ბევრი მსხვერპლი და მიყენებულია დიდი მატერიალური ზარალი.

გამოიწვიეს დიპლომატები პეკინიდან...

ნიუ-იორკი, 14 სექტემბერი. (საკდესი). კამბოჯის სახელმწიფოს მეთაურმა ნოროდომ სიანუკმა განაცხადა, რომ მან გაიწვია თავისი წარმომადგენლები პეკინიდან. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს პნომპენელი კორესპონდენტი იუწყება, სიანუკმა ეს განაცხადა თავის სიტყვაში დემონსტრანტთა წინაშე, რომლებიც მოითხოვდნენ კამბოჯის ნეიტრალიტეტს. მან აღნიშნა, რომ „ჩინეთი მეტისმეტად ბევრ შეცდომას უშვებს“.

შემდეგ ნოროდომ სიანუკმა აღნიშნა, რომ კამბოჯა „არ გაწყვეტს დიპლომატიურ ურთიერთობას ჩინეთთან, თუ იგი არ ჩაერევა ჩვენს საშინაო საქმეებში“.

ლონდონი, 15 სექტემბერი. (საკდესი). ინდონეზიის მთავრობამ გადაწყვიტა თავისი საელჩოს პერსონალი გამოიძახოს ჩინეთიდან.

როგორც რეიტერის სააგენტოს ჯაკარტელი კორესპონდენტი გვატყობინებს, ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ადამ მალიკმა განაცხადა: „ჩვენი საელჩოს პერსონალს იმიტომ მივეცით მითითება პეკინიდან წამოსულიყო, რომ არ შეუძლია იქ ნორმალური მუშაობა და საელჩოს არა აქვს სათანადო დაცვა“. მაგრამ, აღნიშნა მან, პეკინის ხელისუფლებს ჯერ არ მიუცია ინდონეზიის დიპლომატებისათვის ჩინეთიდან წამოსვლის ნებართვა.

როგორც მალიკმა თქვა, ინდონეზია არ აპირებს ჩინეთთან ურთიერთობის გაწყვეტას.

არსენალი საგარგეში

რომი, 14 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ი. ლობატინი გვატყობინებს:

ძველ „ფოლქსვაგენს“ უკვე დიდი ხანია თვალყურს ადევნებდნენ. იტალიელ კარაბინერთა ეკვი გამოიწვია იმან, რომ იგი მეტად ხშირად გამოჩნდებოდა ხოლმე საზღვარზე: ავტომანქანა წამდაუწუმ დადიოდა ტიროლიდან იტალიაში და უკან. წუხელ დაუპატიმრეს მისი მგზავრები. ესენი იყვნენ ორი ტიროლელი ტერორისტი ჰანს ჰუმერი და კარლ შაფერერი. „ფოლქსვაგენის“ საბარგეს გაჩხრეკისას აღმოაჩინეს ორი დინამიტის ჭურვი, ოთხი დეტონატორი, ელექტროსაფეთქებელი, ორი საათის მექანიზმი, მთელი ეს აღჭურვილობა განკუთვნილი იყო იგი ბაზრობისათვის, რომელიც ხვალ იხსნება იტალიის ქალაქ ბოლცანოში და რომელზეც ტერორისტები აპირებდნენ მოეწყოთ სასიკვდილო „ფეიერვერკი“.

იტალიის პრესა წერს, რომ სულ რამდენიმე დღის წინათ მესაზღვრეებმა დაპატიმრეს ტერორისტი ეკერი, რომელმაც აღიარა, რომ ბარშან მონაწილეობდა შეიარაღებულ თავდასხმაში იტალიელ მებაჟეთა წინააღმდეგ. ორი მათგანი მაშინ მოკლეს ტყვიამფრქვეველით. ყველა დაპატიმრებულს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ნეონაციისტებთან და ტერორისტთა ბანდებთან.

ამას წინათ ლონდონში, სოტბის ფირმის ცნობილ სააუქციონო დარბაზში გამოცხადეს, რომ გაიყიდება პიკასოს სურათი, ერთ-ერთი იმათთაგანი, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი რიდია. მაგრამ მოელოდნენ, რომ სურათის საბოლოო ფასი საჭარო ვაჭრობის დროს ოთხმოცი ათას გირვანქა სტერლინგს მიაღწევს. ეს რეკორდული ციფრია ხელოვნების ნაწარმოებთა საჭარო ვაჭრობით გაყიდვის ისტორიაში. ვინ იყიდის სურათს? ეროვნული გალერეა? კერძო კოლექციის მფლობელი? მუზეუმი? ყველა იმ აზრისა იყო, რომ სურათი კერძო პირის ხელში გადავა — მყიდველთა მხოლოდ ამ კატეგორიას აქვს ჩვენს დროში ესოდენ დიდი ფული, და ოვით შეძენაც ხელსაყრელი კაპიტალდაბანდების ხასიათისა იქნება: ვარაუდობენ, რომ პიკასოს სურათების ფულადი ეკვივალენტი დროთა მსვლელობაში კი არ შემცირდება, არამედ მხოლოდ გაიზრდება.

ცოტა ხნით უფრო ადრე ლეონარდო და ვინჩის ერთ-ერთი ტილო გაიყიდა უმაღლეს თანხად, როგორიც კი ოდესმე გადაუხდიათ ერთ სურათში, — დაახლოებით ხუთ მილიონ დოლარად. რატომ? — იკითხავთ. იმიტომ რომ ლეონარდო გემოვნების რეკვეს არ ემორჩილება. ჩვენი მდიდარი ბობოლების თვალში დიდი იტალიელი, ფრანგი და ფლამანდიელი ოსტატები ყველაზე საიმედო ობიექტს წარმოადგენენ კაპიტალის დაბანაბებელად. მათ არ შეიძლება დაკარგონ თავიანთი ღირებულება — რა ვაი-ვაგლახიც უნდა მოელოდეს კაპიტალისტურ ბაზარს. ეს იგივეა, რომ შეიძინოთ ოქროს ხაბადოების აქციები და თავი აარიდოთ იმ კომპანიებს, რომლებიც დღეს მაღალ სპეკულაციურ დივიდენდებს იძლევიან, ხვალ კი შეიძლება გაკოტრდნენ. ლეონარდო არასოდეს არ იქნება ბანკროტი.

ხელოვნების ბაზარზე ახლანდელი ბუმის დროს ბევრი რამ მოდაზეა დამოკიდებული. მაგრამ იქ მთავარია „საქმიანი“ მიდგომა: დარჩება თუ არა შენაძენის ღირებულება ათი, ოცი, ორმოცი ან ორმოცდაათი წლის განმავლობაში. ახლა ხელოვნურად ინერგება მოდა, რომელიც უკარნახებს შეიძინონ ფრანგ, ამერიკელ, იტალიელ და ინგლისელ ახბტრაქციონისტთა სურათები, რომლებიც ძალიან დიდ თანხებად იყიდება. მაგრამ ხელოვნების ბიზნესმენები ვარაუდობენ მოიშორონ ეს სურათები, როცა „კუნსი“ აშკარად დაიწყებს დაცემას. მით უმეტეს, რომ უმრავლესობას ესმის: ეს ნამუშევრები პროფანაციაა და მეტი არაფერი.

კიდევ უფრო საგულისხმოა ახლანდელი ბუმის მეორე მხარე: თავისებური ბიზნესის სწრაფი აყვავება—თანამედროვე ოსტატების — პიკასოს, ბრაკის ან მიროს სურათების ფალსიფიცირება.

შარშან ლონდონის ორმა უდიდესმა სააუქციონო დარბაზმა — კრისტისა და სოტბისამ — ოცდაათ მილიონამდე გირვანქა სტერლინგის საერთო თანხის ხელოვნების ნაწარმოებები გაყიდა. ამ თანხის ნახევარი სურათებშია აღებული. როგორც ინგლისის ექსპორტის დარგმა ხელოვნების ნაწარმოებებმა 1966 წელს ორმოცდაათი მილიონი გირვანქა სტერლინგი შეადგინა. ასეთი ციფრები წარმოდგენას გვაძლევს ამ უზარმაზარი ბიზნესის გაქანებაზე — ექსპერტთა, შუამავალთა, გალერეიებისა და სააუქციონო ფირმების მუშაკთა მის არმიაზე.

ამას წინათ „სანდი ტაიმსმა“ საკმაოდ მოხდენილად განსაზღვრა ის დაუწერელი წესი — „ფრთხილად იყოს მყიდველი“, რაც საფუძვლად უდევს ბიზნესს. გაჰყიდველი, განაცხადა მან, მოვალე არ არის ზრუნავდეს იმისათვის, რასაც იგი გაყიდის, — ეს მყიდველის საქმეა. და, კერძოდ, მყიდველი კარგად უნდა აკვირდებოდეს — ყალბი ხომ არ არის ის, რასაც იგი იძენს.

ყალბი სურათების გაყიდვამ ისე ფართო მასშტაბი მიიღო, რომ ინგლისში მოელინა მაკლერ რობერტ შტრაუს. ამჟერად სურათი გაიყიდა როგორც „ნამდვილი მირო“ და ზედ ავტორის ხელმოწერაც იყო. ეს „შედევრი“ თანდათან ცნობილი ხდებოდა მოყვარულთა წრეში, ამის შესაბამისად იზრდებოდა მისი ფასიც. ბოლოს, შარშან ივნისში სურათი უკვე ოთხი ათას შვიდას ოცდაცხუთ გირვანქა სტერლინგად გაყიდეს. გალერიამ, რომელმაც ის შეიძინა, ფოტოტექნიკამ“ ოცი დღის განმავლობაში იქ „თანამედროვე ოსტატთა“ ოცი ათასი გირვანქა სტერლინგის ნაწარმოებები გაყიდეს. ხელმარჯვე ახალგაზრდა ფრანგი რამდენიმე წელიწადს მისდევდა ამ ხელობას. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც თავისთვის საბეღისწერო შეცდომა დაუშვა, — თავის „შედევრებს“ ერთი და იმავე ხარისხის ქაღალდზე აკეთებდა, — იგი ამხილეს, დაუპატიმრეს და საპყრობილეში ჩასვეს. ახლა კი, სასჯელის მოხდის შემდეგ, პარიზში ცხოვრობს და ხელიდაური ქონების პატრონია.

ხელოვნების ნაწარმოებთა ფალსიფიცირების ბევრ ამბავს ასეულ წლობით ისტორია აქვს. ჩვენს დროში, მეტადრე 60-იან წლებში, ამ ბიზნესმა უდიდესი გაქანება მიიღო, და უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ მხატვრული საქონლით ვაჭრობა მსოფლიო ბირჟის დიდი დარგი გახდა. მსოფლიო ფერწერის ზოგიერთი დედანი ჩვენს მუზეუმებში ინახება, სადაც ძვლად შემოდის, ზოგს მუზეუმები და გალერიები იძენენ, მაგრამ ხელოვნების ნაწარმოებთა უდიდესი უმრავლესობა ბრუნვაშია იმ ბაზარზე, რომელიც მილიარდობით დოლარით განზომება და რომელიც მომსახურებას უწევს კერძო კოლექციებსა და კერძო კაპიტალდაბანდებებს.

როცა პიკასოს სურათი სოტბის სააუქციონო დარბაზში იყიდება, იგი არა მარტო ხელიდან ხელში გადადის, იგი თითქოს ცვლის პატრონსა და მსხვილ კაპიტალდაბანდებას. მაგრამ ეეშშარიტი ხელოვნება მეტ ხანს იცოცხლებს, ვიდრე ხელოვნების ბაზრის საქმოსნები, ვიდრე მათი საზოგადოებრივი წყობილება და მათი ფული.

სწორედ ამას ვგრძნობთ ჩვენ ყველანი, როცა აღტაცებით ვუყურებთ დიდ ოსტატთა ქმნილებებს. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ნამდვილი ხელოვნება თავისი ენით ჩვენს სასარგებლოდ და ჩვენი სახელით მეტყველებს. და ამაშია მისი ნამდვილი ძალა და სიმდიდრე. იგი უცხოა ფულისა და სარფისათვის, მისი ბაკალური ძალუძს.

ჯეიმს ოლდრიჯი,
ინგლისელი მწერალი.

სპეკულაცია პიკასოთი

ხელოვნება საზღვარგარეთ

... ოცი ... ოცი ... ...

უნგრელი სტუმრები ეცნობიან საქართველოს

გუშინ უნგრელი სტუმრები გაეცნენ საქართველოს დედაქალაქ თბილისს. დელეგაციამ მოინახულა მეტეხის ციხე, ვახტანგ გორგასალისა და სამასი არაგველის ძეგლები, დაათვალიერა ქალაქის შემოგარენი.

საღამოხანს უნგრელები ეწვივნენ საქართველოს სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს, რომელმაც სიამოვნებით მიიღო სახელოსნოში ძვირფასი სტუმრები და დაათვალიერებინა თავისი ნამუშევრები.

დღეს უნგრეთის კულტურის დეკადის წარმომადგენლები ნახავენ მეხილეობისა და მევენახეობის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს. შემდეგ ისინი ეწვევიან საქართველოს ხუროთმოძღვრულ ძეგლებს ჯვარსა და სვეტიცხოველს. სიძველეთა ამ კერების შემდეგ სტუმრები დათვალიერებენ რუსთავს.

საღამოს უნგრელი სტუმრები მატარებლით ბათუმს გაემგზავრებიან.

მომდევნო სამ დღეს უნგრელები ესტუმრებიან ქალაქებს მახარაძესა და ქუთაისს.

ქუთაისიდან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის დეკადის მონაწილენი კვლავ საქართველოს დედაქალაქისაკენ გამოეშურებიან. აქ თბილისში, კვლავ შეეხვდებით ჩვენს ძვირფას სტუმრებს.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნივ — დეკადის მონაწილე, ქალაქ დორის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი ეუფანა ბენოჩი; მარჯვნივ — უნგრელი სტუმრები ვახტანგ გორგასალის ძეგლთან.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

დამატებითი დროც — უშედეგოდ

გუშინ მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ თასის ოთხგზის მფლობელი არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი და ბაქოს „ნეფტიანიკი". შეხვედრის ძირითადი დრო დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. დაინიშნა დამატებითი დრო, მაგრამ ვერც ამან გამოავლინა გამარჯვებული.

დღეს ეს გუნდები განმეორებით შეხვდებიან ერთმანეთს.

დღესვე გაიმართება მეორე ნახევარფინალური მატჩიც მოსკოვის „დინამოსა" და სარატოვის „სოკოლის" გუნდებს შორის.

კავანის ტურნირი

ჰავანა. კაპაბლანკას ხსოვნის საერთაშორისო ტურნირში მეთექვსმეტე ტურის შემდეგ 13 ქულით კვლავ ლიდერობს ბ. ლარსენი. ახლა დანიელმა გროსმაისტერმა საკმარისია ერთნახევარი ქულა მოაგროვოს, რომ გაიმარჯვოს ამ ტურნირში. იგი უნდა შეხვდეს ფილელ კ. ვესტერინენს, ჩილელ რ. ლეტელიერს და უნგრელ გ. ბარცას. ბ. ლარსენმა 70-ე სვლაზე მორიგი გამარჯვება მოიპოვა კუბელ უ. როდრიგესთან მე-13 ტურის გადადებულ პარტიაში. მ. ტალიმანოვი და ვ. სმისლოვი ლიდერს 1,5 ქულით ჩამორჩებიან.

ბოლო სვეტზე

რა არის ფეხბურთი?

ინგლისელ მოსამართლეს ბარნსლში (იორკშირის საგრაფო) ამას წინათ მოუხდა უშუალოდ შესდგომოდა თვით სიტყვა „ფეხბურთის" განსაზღვრას, რასაც მან სპეციალისტებთან კონსულტაციისა და სქელტანიან ლექსიკონებში ძიების მთელი კვირა მოანდომა.

სასამართლოს წინაშე წარსდგა ოთხი ჭაბუკი, რომლებიც ქალაქის ქუჩაში ბურთს დასდევდნენ და ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რომ პოლიციელი მიუახლოვდათ, მან ახალგაზრდებს ბრალი დასდო, ფეხბურთს თამაშობდნენ და ქუჩაში მოძრაობას ხელს უშლიდნენო. ორმა თავი დამნაშავედ ცნო, ორმა კი განაცხადა, ჩვენს თამაშს ფეხბურთთან საერთო არაფერი ჰქონდა, იმიტომ რომ ბურთს ერთმანეთს თავთან გადავცემდითო. ინგლისურად სიტყვა ფეხბურთით იგულისხმება, რომ მოთამაშენი ფეხით მოქმედებენ, და კეთილსინდისიერმა მოსამართლემ გამოძიება დანიშნა.

მისი განჩინენი ასეთი იყო: „რამდენადაც დაწერილ კანონმდებლობაში სიტყვა „ფეხბურთის" განმარტება არ არის, და მსგავსი შემთხვევები უმალესესი ინსტანციის სასამართლოს არ განუხილავს, იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ რა არის ფეხბურთის თამაში, დამოკიდებული უნდა იყოს გარკვეულ პირობებში ფაქტიურ მდგომარეობაზე. მაშინ როცა სახელწოდებით იგულისხმება, რომ ბურთს ფეხებით გადასცემენ, მიჩნეულია, რომ სხეულის სხვადასხვა ნაწილიც და განსაკუთრებით თავი მონაწილობს თამაშში. ფაქტიურად ბევრი მოთამაშე ისევე ზნირად იყენებს თავს, როგორც ფეხებს. წუეულიმც იყოს მსაჯი, რომელიც არ ჩათვლის თავით გატანილ გრილს, იმ საფუძველზე, რომ მოთამაშე ფეხებით არ მოქმედებდაო".

ბაღლოო ანგარიშით, ოთხივე ახალგაზრდას მიესაჯა მცირე ფულადი ჯარიმა, ინგლისის კანონმდებლობა კი გამდიდრდა პრეცედენტით ფეხბურთის საქმეების განსახილველად.

იური იუსტიმოვკო,
საკდესის კორესპონდენტი

საიუბილეო სეზონი

ღღეს ფარდა აიხდება ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში

თბილისის თეატრალური ცხოვრება სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. პირველი შეხვედრები მაყურებელთან უკვე ჰქონდათ სოპერო და რუსთაველის სახელობის თეატრებს. დღეს კიდევ ერთ თეატრში, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში გაიხსნება ახალი სეზონი.

ამ ამბავთან დაკავშირებით გაზეთ „ქომუნისტის" კორესპონდენტი ეწვია თეატრის დირექტორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს აპაკი შანიძეს და სთხოვა ეამბნა ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის თეატრის „ცხოვრებაზე" ახალ სეზონში.

თეატრის ახალი — ორმოცდამეერთე სეზონი, — ამბობს აკაკი შანიძე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იქნება ჩვენს შემოქმედებითს ცხოვრებაში. დაიწყო მეხუთე ათეული. დასმა ახალ შენობაში, შეიძლება ითქვას, „ფრთები გაშალა" და ენთუზიაზმი შეემატა. მაგრამ მთავარი საზრუნავია დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადება. ამ მხრივ ჩვენი თეატრი სხვა თეატრებზე უფრო რთული პრობლემის წინაშე დადგა მუსიკალური კომედიისა და ოპერეტის ჟანრის თავისებურების გამო. მიუხედავად ამისა, თანამედროვეობის ამსახველი სპექტაკლების დადგმით ჩვენ ერთგვარი ხარკი მოვიხადეთ და კვლავაც შევეცდებით მაყურებელს ვუჩვენოთ ამგვარი სპექტაკლები.

დადგმას, რომელსაც მივუძღვნით დიდ თარიღს, ეწოდება „**ი